# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულო

## დადგენილება № 21

2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

**„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260010.35.148.016397) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

ბ) დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) განათლების სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას;“.

გ) დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განათლების სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

**დ)** დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას;“.

**ე)** დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

**ვ)** დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სპორტის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას;“.

**ზ)** დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სპორტის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

**თ)** დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ახალგაზრდობის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**